საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2019 წლის აპრილი-მაისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2019 წლის აპრილისა და მაისის თვეებში.

საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“

2019 წლის 24 მაისს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და მას დაემატა შემდეგი შინაარსის 994 მუხლი:

„მუხლი 994. დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
ამ დადგენილების 34-ე მუხლის „გ1“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის 31-33 პუნქტების, 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ1“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის 31პუნქტის, 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ1“ და „ნ2“ ქვეპუნქტებისა და 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის შესაბამისად დაუმთავრებელ მშენებლობად მიჩნეულ ობიექტებზე.“

დადგენილენა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №001

2019 წლის 27 მაისს საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №001 დამტკიცდა „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესი“. აღნიშნული წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს და აწესრიგებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად, დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების საკითხებს.

დადგენილენა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-47/ნ

2019 წლის მაისს ცვლილება შევიდა „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №01-11/ნ ბრძანებაში, კერძოდ მისი მე-4 მუხლის „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„დ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ:

დ.ა) შესაბამის დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დასაქმებულთა წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) სამართალდამცავ ორგანოებს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის დროს და იმ შემთხვევაში, თუ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები დანაშაულის ნიშნებზე მიანიშნებს;

დ.გ) ზედამხედველ ორგანოს – საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების დროს დამსაქმებლის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შეტყობინების ოქმის (დანართი №1.3) შესაბამისად.“.

ასევე დამტკიცებულ იქნა დამსაქმებლის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შეტყობინების ოქმი ფორმა, რომელიც თან ერთვის ბრძანებას.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-42/ნ

2019 წლის 20 მაისს ცვლილება შევიდა „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში, კერძოდ: ამოღებულ იქნა ბრძანების მე-6 მუხლის 1^7 და 8^5 პუნქტები, მე-7 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ბ) ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები (ამ მუხლის 1^1, 1^3, 1^4, 1^5 და 1^6 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა)“.
ხოლო 9^1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„9^1. ამ მუხლის 8^1 და 8^3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღიური ფულადი სარგოების და წელთა ნამსახურობაზე დანამატის გამოთვლა ხდება თვიური შრომის ანაზღაურების (ფულადი სარგოები და წელთა ნამსახურობაზე დანამატი) გაყოფით შრომისუუნარობის თვის (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) კალენდარულ დღეთა რიცხვზე.“

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“

2019 წლის 3 მაისს ცვლილება შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“, კერძოდ მისი მე-4 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„4. დისკრიმინაციად (მათ შორის, სექსუალურ შევიწროებად) მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:
„4^1. სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

მე-13 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„3[1]. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.“.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №255

2019 წლის 31 მაისს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“. აღნიშნული წესი აზუსტებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (შემდეგში – კოდექსი) მოთხოვნებს და იგი განმარტებული და გამოყენებული უნდა იქნეს ამ მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, წესი განსაზღვრავს:

ა) იმ შენობა-ნაგებობათა კლასებს და მშენებლობის სახეებს, რომელიც ექვემდებარება მშენებლობის ნებართვას ან მშენებლობის შეტყობინებას, გარდა V კლასის შენობა-ნაგებობისა;

ბ) სანებართვო დოკუმენტაციის შემადგენლობას, მათი შედგენისათვის წინასაპროექტო კვლევის ჩატარების წესსა და პირობებს;

გ) სანებართვო პირობებს, მათი შესრულების პროცესს;

დ) შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარების წესსა და პირობებს.

დადგენილება ამოქმედდა 2019 წლის 3 ივნისიდან.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge